ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №298526

ნომერი: AR171563

თარიღი : 06.08.2012

გაცემის თარიღი : 08.08.2012

გაცნობის თარიღი : 08.08.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან არჩვაძე პ/ნ 01008003259
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 24

ორგანიზაცია:
- M სევისი კოდი: 202456920

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.08.12 წ.№295084 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/06/2012 წ. AR171563 განცხადებით მომართა ლევან არჩავძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.08.12 წ.№295084 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებ.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 08/02/2012 წ. №AR170891 განცხადებით მომართა ლევან არჩვაძემ და მოითხოვა სამსახურის 27.09.2011 წლის №01/2889 ბრანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დამატება 26.07.2011 წლის №01/2006 ბრძანებაში არსებული მაჩვენებლების შესაბამისად. სამსახურმა 03.08.12 წ.№295084 ბრძანებით დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანა ცვლილება და დამატება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.08.12 წლის №295084 ბრძანებაში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ბრძანების სათაურსა და უშუალოდ ბრძანების ნაწილში სამართლებრივი აქტის რეკვიზიტად ნაცვლად - 01/2889 მითითებულია - 01/28889.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
ვინაიდან, ცხადია, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №295084 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია გაასწოროს იგი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.08.12 წ.№295084 ბრძანებაში, კერძოდ: სამართლებრივი აქტის რეკვიზიტი ნაცვლად 01/28889 დაფიქსირდეს - 01/2889;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.08.12 წ.№295084 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარატავს ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.